ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-15422ზ/07
"21" 06 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), თარხნიშვილის ქ. №2-ში (საკ. კოდი №01.15.02.006.014) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2462401 24.03.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე შეცვლილია კონდიციონერების, გამწოვი მილების და კარადების მოწყობა. ნაწილობრივ შეცვლილია მოპირკეთების ფორმა, ხოლო აივნებზე და სახურავზე გამყოფი ტიხრების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. გაზრდილია სარეკლამო ბანერების რაოდენობა. სადარბაზოებთან შეცვლილია კარის ნახატები. ცხაურების მოწყობა არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს. კარებების ნაწილი მოსაწყობია. შიდა კიბის მოაჯირების მოწყობა დასასრულებელია. საოფისე კორპუსის ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების, კარებების და მოაჯირების ნახატები.

„ა'-ო" ფასადი: „დ'-ა" მონაკვეთში შეცვლილია პანდუსის მოწყობა და მდებარეობა. -6.15 ნიშნულზე მოაჯირი მოსაწყობია. „ბ'-დ'" მონაკვეთში სვეტები მოსაპირკეთებელია. გ'-გ' ღერძთან მოსაწყობია ვიტრაჟი. „დ'-ა" მონაკვეთში შემცირებულია კარის სიმაღლე. შენობის ძირში „ა-ა" ღერძთან მოწყობილია შლაგბაუმი. „ბ-გ" მონაკვეთში მოსაწყობია მოაჯირი და დამატებულია განათების ბოძი. +6.75 ნიშნულზე „თ-ი" მონაკვეთში შესაცინია ორი ვიტრაჟი.

„7-1" ფასადი: „დ'-ა'" მონაკვეთში მინაბლოკების ნაცვლად ღიობები შევსებულია მსუბუქი კონსტრუქციით. -4.80 ნიშნულის ზემოთ „7-7" ღერძთან ღიობი შევსებულია ცხაურით. „ნ-5" მონაკვეთში გაუქმებულია კარი და შუაკედლისი, რის გამოც გაზრდილია ღიობის გაბარიტი. ±0.00 ნიშნულზე „5-3" მონაკვეთში შენობის ძირი მოსაპირკეთებელია, დამატებულია საფეხურები და გაუქმებულია მოაჯირები. „1-1" ღერძის მიმდებარედ შეცვლილია კედლის ფორმა.

„ო-ა'" ფასადი: შენობის ძირში შეცვლილია ღიობების გაბარიტი და დამატებულია ცხაურები. „ზ-ბ" მონაკვეთში ორი კარის წინ მოწყობილია საფეხურები. შეცვლილია სადარბაზოს ღიობების გაბარიტი. „ლ'-კ" მონაკვეთში ვიტრაჟების ნაწილი შესაცინია. „ზ-ბ" მონაკვეთში დამატებულია ორი ღიობი.

შენობის შიგნით შეცვლილია კოლონების და რიგელების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი, კიბის და საფეხურების მოწყობა. შენობის შიგნით -9.12 ნიშნულზე „დ'-ა" მონაკვეთებში პროექტში არ არის ნაჩვენები ლიფტები და შექმნილია დონე. -6.15 ნიშნულზე „ა'-გ'" მონაკვეთში კიბის საფეხურების მოწყობა დასასრულებელია. პირველ სართულზე „ი-ი" ღერძთან კიბესთან მოწყობილია ბაქანი. „თ-თ" ღერძთან „2'-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი. „ო-ო" ღერძთან „4-5" მონაკვეთში

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

დამატებით მოწყობილია ანტრესოლი კიბით. „მ-მ" ღერძთან „6-7" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია დაბალი კაპიტალური კედელი. -1.60 ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძის მიმდებარედ აივანზე ვიტრაჟების ძირი შესაფუთია. „ზ-თ" მონაკვეთში დამატებულია კიბე და ანტრესოლი, რის გამოც გაზრდილია ფართი. „კ-ლ" მონაკვეთში შეცვლილია ანტრესოლის ფორმა. „ლ-ო" მონაკვეთში ანტრესოლების ძირში მოწყობილია ლითონის სვეტები. +18.40 და +19.95 ნიშნულებზე „ლ^{I}-კ" და „თ-ზ" მონაკვეთებში მოწყობილია ორი ფანჯარა. +21.20 ნიშნულზე „მ-ლ" მონაკვეთში მოწყობილია ლითონის კარი. „4-7" მონაკვეთში შექმნილია დონეები. გადახურვებზე ნაწილობრივ შეცვლილია სავენტილაციო შახტების მოწყობა. +12.00 ნიშნულზე „ა-ა^{II}" მონაკვეთში „ა^{II}-ა^{II}" ღერძთან შეცვლილია კედლის ფორმა. „დ^{I}-ა" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის გაბარიტი და მოწყობილია კარი. ამავე მონაკვეთში ლიფტი არ ამოდის +21.90 ნიშნულზე. „დ^{I}-დ^{I}" ღერძთან დამატებით მოწყობილია კარი და საფეხურები. გაზრდილია მოაჯირის სიმაღლე.

შეცვლილია ტერიტორიის მოწყობა. ასევე ტერიტორიაზე მოწყობილია დროებითი ღობე და გასატანია სამშენებლო ნაგავი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ემ.ჯი.აი"-ს, ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), თარხნიშვილის ქ. №2-ში (საკ. კოდი №01.15.02.006.014) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №154228/07 27.04.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე